ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი #7

ქ. ცაგერი 08 მაისი, 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვასილ საღინაძე
ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი;
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მარიკა კოპალიანი, ონისე ჩაკვეტაძე;
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები: თამაზი ჭაბუკიანი, ზაზა ყურაშვილი,
ნოდარი საღინაძე, ელენე საღინაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილეები:
გივი გოგებაშვილი, ნატო ბურჯალიანი, მამუკა მამარდაშვილი,
მამუკა ჩიქოვანი, ბესიკი ჩანქსელიანი.
ფრაქცია ,,ხალხის ძალის" თავმჯდომარე: ლაშა ლეთოდიანი
ფრაქცია ,,ხალხის ძალის" თავმჯდომარის მოადგილე: ნიკა ქომეთიანი;
საკრებულოს წევრები: მურმანი თოთაძე, ჯონი ხალიანი, გორდა გვიშიანი,
მარი ბურჯალიანი, თინათინი ნემსწვერიძე, თამაზ თვარაძე,
ხვიჩა ჩხეტიანი, გიორგი გოლეთიანი, ბერდია კვირიკაშვილი,
კახა ყურაშვილი;

საკრებულოს აპარატის უფროსი: თამთა ონიანი
საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო მეგრელი

დღის წესრიგი

განკარგულება:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2026 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

სხდომის თავმჯდომარემ - ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

განკარგულება:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2026 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ს. გვიშიანი/

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2026 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2026 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“.**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ, აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მომზადება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის №85 განკარგულების საფუძველზე ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო 620 000 ლარი, განკარგულებით გამოყოფილი თანხები გადანაწილდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების საფუძველზე, რომლის შესაბამისად დასახლებების მიხედვით ჩატარდა სოფლის კრებები და კონსულტაციები, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მუნიციპალიტეტის მერი, მერის პირველი მოადგილე, მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე და მოადგილეები, მერის წარმომადგენლები, საკრებულოს წევრები. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სოფლების მიხედვით რეგისტრიტებულ ამომრჩეველთა 20 პროცენტზე მეტმა ადამიანმა. მოსამზადებელ პერიოდში დასახლებებიდან შემოსული იქნა 134 საპროექტო წინადადება, რმელიც პროქტიულად აიტვირთა მუნიციპალიტეტის ვებგვარდზე, ხოლო სოფლად ჩატარებული კრებების საფუძველზე მიღებული იქნა 77 საპროექტო წინადადება.

დასახლებების კრებებისა და კონსულტაციების გამართვის შემდეგ წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე შემუშავდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამიტ დასაფინანსებელი პროექტების ერთიანი ნუსხა, ამასთან 2025 წელს დაუკონტრაქტებელი დარჩა სოფელ ლახეფას, ისუნდერისა და ლაცორიის 3 პროექტი ღირებულებით 30 000 ლარი, რაც არსებული წესის შესაბამისად დაემატა 2026 წლისთვის დაგეგმილ საპროექტო წინადადებებს.

მიღებული 77 წინადადებიდან შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე დაიგეგმა 21 პროექტი ღირებულებთ 208 000 ლარი, გარე განათებაზე 19 პროექტი 195 000 ლარი, სასმელი წყლის რეაბილიტაციის 10 პროექტი 71 460 ლარი, სასაფლაოების შემოღობვაზე 8 პროექტი 76 400 ლარი, სკვერის მოწყობაზე 7 პროექტი 51 500 ლარი, სპორტული დანიშნულების ობიექტების რეაბილიტაციაზე 5 პროექტი 46 500 ლარი, სანიაღვრე არხების მოწყობის 5 პროექტი 25 640 ლარი, არსებული შენობის რემონტის 1 პროექტი 10 000 ლარი, სველი წერტილის მოწყობა 1 პროექტი 5 000 ლარი, საერთო ჯამში 650 000 ლარი, მათ შორის საქონლის შესყიდვაზე დაიხარჯება 24 460 ლარი.

განკარგულების პროექტის მიღებით ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში არაერთი საკითხი მოგვარდება. განკარგულების მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2026 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ვასილ საღინაძე